

---

მსოფლიო ლიტერატურული ტენდენციები: დასავლეთი და აღმოსავლეთი  
World Literary Trends: West and East

---

Mzisa BuskivadZe

მზისა ბუსკივაძე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**World Literary Processes and Issue of Turkish Literature Development**  
(The Middle Ages and the Tanzimat Period)

მსოფლიო ლიტერატურული პროცესები და თურქული ლიტერატურის  
განვითარების საკითხი  
(შუა საუკუნეები და თანზიმათის პერიოდის მწერლობა)

The article analyzes the development of Turkish literature, taking into account global literary processes. The research focuses on both internal and external literary factors, which are, in turn, shaped by historical and geocultural circumstances. Two significant cultural spheres that greatly influenced the development of Turkish literature are identified: Islamic culture and civilization, and European culture and civilization. These two distinct cultures and civilizations positioned Turkish literature in a "threshold" stance, reflecting a crisis within literature and society. This crisis can be assessed as a result of an unresolved threshold, trauma, and dual discourse. Within the scope of the article, our research is limited to medieval and Tanzimat literature.

**Key words:** Turkish literature, Islamic culture and civilization, European culture and civilization, Global literary processes

**საკვანძო სიტყვები:** თურქული ლიტერატურა, ისლამური კულტურა და ცივილიზაცია, ევროპული კულტურა და ცივილიზაცია, გლობალური ლიტერატურული პროცესები

ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე ეროვნული მახასიათებლების გარდა მნიშვნელოვან გავლენას მსოფლიო ლიტერატურული პროცესებიც ახდენს. გეოპოლიტიკური და კულტურული არეალის ცვლა დიდწილად განაპირობებს ლიტერატურის შემდგომ კურსსა და ხასიათს. იქამდე ვიდრე თურქული ლიტერატურა იმ სახეს მიიღებდა, რა სახითაც იგი დღეს გვევლინება, საკმაოდ რთული და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, მტკივნეული გზა გაიარა. თურქული ლიტერატურის კვლევისას იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მისი მუდმივად „ზღურბლისმიერ“ პოზიციაში ყოფნით შეძლება დეტერმინირდეს. ვფიქრობ, თურქული ლიტერატურის ბუნების განსაზღვრისათვის უფრო ფუნქციონალური იქნება ლიტერა-

ტურის თეორეტიკოსის, პროფ. ირმა რატიანის მიერ დამკვიდრებული სამუშაო ტერმინი „სასაზღვრო ცნობიერება“. „სასაზღვრო ცნობიერება“ ერთ-ერთი სამუშაო ტერმინია, რომელიც გულისხმობს არა მარტო იმას, რომ საუბარია სასაზღვრო ქვეყანაზე, რომელიც თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით წარმოადგენს წყალგამყოფს განსხვავებულ ხალხებსა და კულტურებს შორის, არამედ იმასაც, რომ საუბარია სასაზღვრო ეპოქებზე, რომლებიც წარმოადგენს წყალგამყოფს განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ პრინციპებს შორის“ (რატიანი, 2018, გვ. 122).

თურქული ლიტერატურის „სასაზღვრო ცნობიერება“ ორი მნიშვნელოვანი კულტურითა და ცივილიზაციით არის განპირობებული, მხედველობაში გვაქვს ისლამური კულტურა და ცივილიზაცია და ევროპული კულტურა და ცივილიზაცია. მე-10 საუკუნეში თურქებმა ისლამი სისხლისღვრის გარეშე მიიღეს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რელიგიის მიღება მარტივად და ერთბაშად არ მომხდარა. თურქ ხალხებში ისლამის გავრცელების ნელი პროცესის ნათელი გამოვლინება შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურაა, რომელიც მე-13 საუკუნიდან იწყება. შეიძლება ითქვას, თურქული ლიტერატურა სამი საუკუნის დაგვიანებით შეუერთდა არაბულ სპარსულ ლიტერატურას და საბოლოო ჯამში მათი განუყოფელი ნაწილი გახდა. ახალმა რელიგიამ თურქული ენა ცენტრიდან პერიფერიაზე გადაიტანა. გახდა რა ისლამური კულტურის ნაწილი, ისლამური კულტურის წიაღში წარმოშობილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა სუფიზმი როგორც საზოგადოებრივი სისტემა, ისე ლიტერატურა, თურქული საზოგადოების მსოფლმხედველობის განმსაზღვრელიც გახდა. პოეზიის ენა სპარსულია. ერთი მხრივ რელიგიური წიგნების არაბულად კითხვამ, მედრესეებში არაბულად სწავლებამ, მეორეს მხრივ ლიტერატურული ტექსტების სპარსულ ენაზე შექმნამ, არაბული და სპარსული ენის ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით გამსჭვალული ოსმალური ენა წარმოშვა, რომელიც მხოლოდ საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლების ენად ითვლებოდა. ენობრივი კუთხით საზოგადოების დიფერენციაცია შესაძლოა „დიდ“ და „პატარა“ კულტურებად შევავსოთ. ლიტერატურას რაც შეეხება, აქ თავს იჩენს „მაღალი“ და „დაბალი“ ლიტერატურების საკითხი. კლასიკური თურქული ლიტერატურა ყველა იმ ნორმის დაცვით ვითარდებოდა, რომელიც სპარსული პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი. ლიტერატურული კანონი წინასწარგანსაზღვრული ნორმების, ვერსიფიკაციული სისტემის „იგივეობის ესთეტიკის“, მყარი მხატვრული სახეების, თემატიკის მკაცრი დაცვით იყო დასაზღვრული. კლასიკური თურქული ლიტერატურის პარალელურად ვითარდება „დაბალი“ ლიტერატურა, რომელსაც „თექეს“ ლიტერატურა ეწოდება და რომელიც ეროვნული ლიტერატურის ჩამოყალიბების საწყისადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. თექეს ლიტერატურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პოეზიის ენა თურქულია. ე.წ. „დაბალი ლიტერატურის“ წარმომადგენელი იუნუს ემრე – აზიკ ფაშა – გულშეკრი, დივანის, ან მესნევის შექმნისას უპირატესობას თურქულ ენას ანიჭებენ და უშუალოდ თურქი ავტორებისა და მათი ტექსტების გავლენას განიცდიან (იუსუფ ჰას ჰაჯიბი, აჰმედ იესევი და სხვა). დივანის ლიტერატურა, რომელიც იგივეობის ესთეტიკითა და მყარი სალექსო ფორმებით არის გამორჩეული, ძველი პროდუქტიულობით ვედარ გამორჩევა, სიახლე კი აუცილებელი ფაქტორია ლიტერატურის განვითარებისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს ნაბის სიტყვები „Fesane-i Leyla vü Mecnun'dan usandık“ (თქმულება ლეილასა და მაჯუნუნის შესახებ უკვე ყელში ამოგვივიდა) (Dayanç, 2012, გვ. 59). მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით სიახლე არსად ჩანდა ენდერუნელი ვასიფის ირონიული დამოკიდებულება კლასიკური ლიტერატურის სიყვარულის ობიექტისადმი, უკვე მიანიშნებს, რომ დივანის ლიტერატურამ საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა. თუმცა თითქმის ექვსსაუკუნოვანი ტრადიციის მოკლე დროში ახლი ლიტერატურული ესთეტიკით, ვერსიფიკაციული სისტემით ჩანაცვლება იოლი საქმე ნამდვილად არ იყო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა თურქული ლიტერატურა ახალი ცივილიზაციის (ევროპული ლიტერატურის) არეალში შედის, დივანის ლიტერატურის ტრადიციის გამგრძელებელი საკმაოდ ცნობილი პოეტები ჯერ კიდევ აგრძელებენ თავიანთ შემოქმედებით საქმიანობას. აღნიშნულ პერიოდში არსებობდა მწერალთა საზოგადოება (Encümen-i Şuara), რომ-

ლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: *ჰერცოგოვინელი* არიფი, *ლესკოვაცელი გალიფი*, *იენიშეპირელი* ავნი. აღნიშნული „მწერალთა საზოგადოების“ შეკრებებს საწყის ეტაპზე იბრაჰიმ შინასი, ნამიქ ქემალი, ზია ფაშა და სხვა პოეტებიც ესწრებოდნენ. თუმცა, ახალგაზრდა თაობა მალევე გამოეყო მათ და იბრაჰიმ შინასის კვალს გაჰყვა.

სიახლის დანერგვის და ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესი, ლიტერატურაში უპირველეს ყოვლის დივანის ლიტერატურასთან დაპირისპირებაში გამოვლინდა. თუმცა ისინიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის მოდერნიზების შესახებ კამათი უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, პრაქტიკაში კი სიახლის ადაპტირება არც თუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ *თან-ზიმათის* მწერლობის წარმომადგენლები დივანის ლიტერატურის გავლენისგან სრულიად ვერ გათავისუფლდნენ. მე-19 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ისტორიული გარემო იცვლება რამაც ოსმალეთის იმპერია პოლიტიკური და კულტურული ცვლილების აუცილებლობის წინაშე დააყენა. ცივილიზაციის ახალ არეალში გადასვლა თავისთავად გულისხმობდა ახალმიღებული ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი სისტემის ადაპტირებას, მორალური ნორმების აკუმულირებას. მე-20 საუკუნის გამორჩეულად საინტერესო თურქი მწერალი, აჰმედ ჰამდი *თანგინარი*, რომელიც ამავე დროს „მე-19 საუკუნის თურქული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორიც გახლავთ, სტატიათა კრებულში „სტატიები ლიტერატურის შესახებ“ აღნიშნავს: „*ახალ თურქულ ლიტერატურას საფუძვლად ცივილიზაციის კრიზისი უდევს*“ (Tanpınar, 1997, გვ. 85). აღნიშნული კრიზისი კლასიკური *ეპისტემის* ევროპული *კონცეპტით* „ჩანაცვლებამ“, ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით „ჩანაცვლების მცდელობამ“, გამოიწვია. თურქულ საზოგადოებაში და თურქულ ლიტერატურაში დასავლური ღირებულებების ადაპტაცია, ან ადაპტაციის მცდელობა თავიდანვე რელიგიის, საზოგადოებრივი ნორმების, ტრადიციებისა და წეს ჩვეულებების ღია თუ ფარული კონფლიქტის ფონზე მიმდინარეობს. *გეოკულტურული* გარემოს ცვლილების გამო ახლისა და ძველის დიქოტომიის საფუძველზე ორმაგმა დისკურსმა და ორმაგმა მორალმა იჩინა თავი. იქნება ეს სამოსი, წეს-ჩვეულებები, საუბრის მანერა, ენა, რწმენა, განათლება და სხვა.

საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებმაც თურქულ ლიტერატურას ახალი იდენტობის შექმნა „გაუმარტივა“. თურქი განმანათლებლებისათვის რომანის ჟანრი აღმოჩნდა ის მთავარი მარკერი, რომლითაც მათ შეეძლოთ ევროპულ ლიტერატურასთან კავშირისა და ზოგადად, ევროპელობაზე „პრეტენზია“ მშვიდად განეცხადებინათ. მე-19 საუკუნეში ფრანგულ კულტურასთან და ლიტერატურასთან სიახლოვემ თურქულ ლიტერატურაში ისეთი ჟანრების გაჩენას შეუწყო ხელი როგორცაა რომანი, მოთხრობა, თეატრის ჟანრები. ევროპეიზაციის პროცესის პირველი პერიოდი 1878 წლამდე გრძელდება. აღნიშნული პერიოდი, რომელიც დაახლოებით 20 წელს მოიცავს რომანის, მოთხრობის, თეატრის ჟანრების ეტაპობრივ განვითარებას ავლენს. რასაც ვერ ვიტყვით პოეზიაზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დივანის პოეზიას მყარი საფუძვლები გააჩნდა. ევროპული ლიტერატურიდან გადმოტანილი ჟანრები რაიმე სახის ტრადიციასთან დაკავშირებული არ არის. ვერც ის გამოდგება არგუმენტად, რომ იქამდე არსებობდა თურქული თეატრის ისეთი სახეობები როგორცაა *ყარაგოჯი*, *ორთაოიუნუ* და ხალხური მოთხრობები. ევროპული *კონცეპტის* დამკვიდრებამ თავისთავად გამოიწვია „*აღმოსავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი მითოპოეტურების ჩანაცვლება, დასავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ისტორიულ-ყოფითი ნარატივით*“ (რატიანი, 2018, გვ. 84). აღნიშნული „ჩანაცვლება“ ლიტერატურის სრული განახლების სურვილსა და მცდელობაში გამოვლინდა. *თან-ზიმათის* ლიტერატურის პირველი თაობის წარმომადგენელი მწერლები ცდილობენ თურქული ლიტერატურა აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციის გავლენისაგან სრულიად გაათავისუფლონ და დასავლური ლიტერატურული ტრადიციის ჩარჩოებში მოაქციონ. მათთვის ევროპული ცივილიზაცია მხოლოდ სამრეწველო სისტემისა და ტექნიკის განვითარებაში არ გამოიხატებოდა, სწორედ განათლება და ლიტერატურა იყო მათთვის პროგრესის მონოლითურობის მაჩვენებელი. *შემსეთთინ* სამი ნაშრომში „პოეზია და სიახლეები ჩვენს ლიტერატურაში“ წერდა „*მათ, ვინც ევროპული ენები იცის და შექსპირის, გოეთეს,*

შილერის, რასინის ნაწარმოებებს კითხულობს, ნამდვილად არ მოეწონება ამბავი იმის შესახებ როგორ იკეთებენ ყარყატები მეჯუნის თმებში ბინას, ან როგორ ესაუბრება ლეილი მთვარეს“ (Tanpinar, 2012, გვ. 25). ნამიქ ქემალიც დივანის ლიტერატურის ნიმუშებს ეპოქის შესაბამისად აღარ მიიჩნევს და ყურადღებას ჩარლზ დიკენსის, ვიქტორ ჰიუგოს, ალექსანდრე დიუმას ნაწარმოებებზე ამახვილებს. ცნობილია, აჰმედ მიდჰათ ეფენდის პროევროპული შეხედულებებიც. ლიტერატურის მოდერნიზების მოსურნე მწერლები დივანის ლიტერატურის ნიმუშებს აღმოსავლურ ზღაპრებად მიიჩნევენ და ცდილობენ ისინი რაციონალური აზრით გაჯერებული ნაწარმოებებით შეცვალონ.

უცხო ენა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა იმ დროს თურქეთში, იყო ფრანგული. ევროპულ ლიტერატურასაც თურქული საზოგადოება პირველად ფრანგული ლიტერატურით ეზიარა. პირველი, ვინც ფრანგული ლიტერატურა თურქ მკითხველს გააცნო, იყო იბრაჰიმ შინასი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ ენას და ლიტერატურაშიც ღრმად იყო განსწავლული. მის მიერ 1858 წელს გამოცემულ ფრანგი პოეტების პროზად ნათარგმნი ლექსებით თურქი მკითხველი პირველად გაეცნო ფრანგულ პოეზიას. ამ თარგმანებს წინ უძღოდა უსუფ ქემალ ფაშას მიერ ფენელონის „ტელემაკის“ თარგმანი, რომელიც 1858 წელს იქნა შესრულებული და 1862 წელს გამოქვეყნდა. ამ რომანმა თურქულ ლიტერატურას ძლიერი ბიძგი მისცა ახალ ჟანრში გადასასვლელად. ერთი მხრივ, თურქი ინტელიგენცია აქტიურად თარგმნის რომანს, მეორე მხრივ კი, ახალ ლიტერატურულ ჟანრად გვევლინება პიესა. ამ ჟანრის პირველი დასავლური ნიმუშები აჰმედ თევფიქ ფაშამ გააცნო თურქ მკითხველს. მას მოლიერის პიესების თარგმანები ეკუთვნის. აჰმედ მითჰათ ეფენდის თავისი პირველი რომანის „ჰასან მელაჰის“ წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს, რომ თავისი ნაწარმოებით კი არ მიბაძა დიუმას ან თარგმნა „გრაფი მონტე კრისტო“, არამედ მისი პაროდია გააკეთა. ნამიქ ქემალი თავის „ჯალალედინ ხორეზმშაჰის“ წინასიტყვაობაში, სადაც მისი ლიტერატურული შეხედულებებია ჩამოყალიბებული, განიცდის ვიქტორ ჰიუგოს „კრომველის“ წინასიტყვაობის გავლენას.

როდესაც ნამიქ ქემალი დასავლური ლიტერატურის შესახებ საუბრობს, პროზისა და პოეზიის იმ ნიმუშებს ჩამოთვლის, რომელთაც ის უპირატესობას ანიჭებს: „პოეზიაში ინგლისელი, გერმანელი, და ესპანელი პოეტების ნაწარმოებებს გამოვარჩევ. ფრანგთა შორის ჰიუგოს, მიუსეს და სხვა რომანტიკოსების ნაწარმოებებს ვანიჭებ უპირატესობას, ზნეობისა და ტრადიციების კრიტიკაში მოლიერის, ხოლო აზროვნებაში კორნელის ნაწარმოებებს. პროზის თვალსაზრისით XVIII ს-ის ფრანგული პროზაა საინტერესო“ (Yetiş, 1996, გვ.მ 22). ეს სიტყვები მოწმობს, რომ ნამიქ ქემალი მხოლოდ ფრანგული ლიტერატურით არ შემოიფარგლებოდა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქული ლიტერატურა სწორედ ფრანგული ლიტერატურის გავლენის ქვეშ მოექცა, რადგან ძირითადად სწორედ აღნიშნული ლიტერატურის თარგმნა ხდებოდა განსაკუთრებული ინტენსივობით თურქულად. ინგლისური ლიტერატურის გაცნობაც ფრანგულ ენაზე მოხდა. იმ დროს, როდესაც თურქეთში დასავლური ლიტერატურა იკიდებდა ფეხს, დასავლეთში კლასიციზმი უკვე ისტორიის კუთვნილება იყო, რომანტიზმიც რეალიზმს უთმობდა გზას. თურქული ლიტერატურა, ამის მიუხედავად, ჯერ რომანტიზმის, შემდეგ კი კლასიციზმისა და რეალიზმის გზას ადგება.

რომანტიზმის კვალი ყველაზე აშკარად ნამიქ ქემალთან შეინიშნება. თურქული პიესა რომ ვიქტორ ჰიუგოს გავლენას განიცდის, ეს რომანტიზმის ყველაზე აშკარა გამოვლინებაა. რომანი სათაურით „მოკვეთილი“ ამ ეპოქის ყველაზე წარმატებული რომანტიკული რომანის ნიმუშია. ხოლო რომანი „აღორძინება“ შინაარსის თვალსაზრისით მართალია რეალისტურად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ სახეების და იქ დახატული სიყვარულის ფორმით აშკარად რომანტიკულია. ნამიქ ქემალის შემდეგში დაწერილი რომანები თემატიკის თვალსაზრისით რეალისტურია, მაგრამ რომანტიზმის გავლენა აქაც მკაფიოა.

ჰამიდთან ჯერ რასინის, კორნელის და სხვა კლასიკოსების, შემდეგ კი რომანტიკოსების – ჰიუგოს, ლამარტინის, მიუსეს – გავლენა შეიმჩნევა. ვიქტორ ჰიუგო იკავებს ამ ეპოქის თურქულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ ადგილს. მართალია, თურქული ლიტერატურა დასავლურს

ზამცავს, მაგრამ თურქი მწერლები ამ მიზანძვის დროს ზომიერების დაცვის აუცილებლობას გრძნობენ. ცდილობენ ეროვნული ღირებულებები არ დაკარგონ და განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ ამ მიმართულებით. ამ პრობლემებზე საუბრობს მუალიმ ნაჯი *“ჩვენი ლიტერატურა უნდა იყოს დასავლეთის ღირსეული მიზანძვა ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი დადებითი და უარყოფითი შედეგები, ლიტერატურა ყოველთვის ეროვნულ ხასიათს უნდა ატარებდეს”* (Naci, 1998, გვ. 41). ამ სიტყვებში ჩანს ის შემოფოთება, რომელიც გაჩნდა თურქ ინტელიგენციაში დასავლური ცივილიზაციისადმი გადაჭარბებულ აღფრთოვანებას ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების დაკარგვის საშიშროება არ შეექმნა. ამ საფრთხის რეალურად არსებობის ფაქტმა ზია ფაშას, რომელიც თვითონ იყო ახალ დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული ლიტერატურის შემოქმედი, ასეთი სიტყვებიც კი ათქმევინა: *“ეროვნული დავივიწყეთ, ყველა სფეროში ევროპისაკენ ვიყურებით”* (Karaalioglu, 2005, გვ. 53). ნამიქ ქემალი იგივე აზრს შემდეგნაირად გამოხატავს: *“ერთი სიტყვით, ყველა ერთი ისე უნდა ეძებდეს განვითარებას, რომ საკუთარი ეროვნულობა არ დაკარგოს. ოსმალთა ერთი ოდითგანვე განსაკუთრებით ნიჭიერი ერთია. ამ გზას არ უნდა გადავუხვიოთ. ეროვნულიდან ხომ არ ვისესხობთ? ამის გარეშე ვერანაირ წარმატებას ვერ მივაღწევთ. ეს აქსიომაა”* (Yetiş, 1996, გვ.80). ამგვარად, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული თურქული ლიტერატურა ეროვნულ ტრადიციებსაც რომ ეჭიდებოდა, ეს ფაქტია. თურქი განმანათლებლების პირველი თაობა ევროპული საზოგადოების სისტემის მთავარ ფაქტორს, რაციონალიზმს, უსვამს ხაზს. ოსმალთა ო თურქულ საზოგადოებაში, რომლის საზოგადოებრივი სისტემა სქოლასტიკურია და ყოველგვარი სკეპტიციზმი გამორიცხულია, ძალიან რთულია ადამიანის შინაგანი თავისუფლების, თავისუფალი არჩევანის, გონების უზენაესობის კონცეპტი დანერგო. თვით იბრაჰიმ შინასიც კი, რომელიც გონებას სამყაროს ახსნის მთავარ საშუალებად მიიჩნევს, ასეთი „თავბდური“ ფიქრების გამო ღმერთს შენდობას სთხოვს. პოზიტივისტური და მატერიალისტური მოძღვრების მიმდევარი ბეშირ ფუადი, თავის ნაშრომებში არასოდეს ახსენებს მატერიალიზმს. ამისი მთავარი მიზეზი კი მისი ოსმალთა საზოგადოებაში ათეისტად გამოცხადება შეიძლება მივიჩნიოთ.

## დასკვნა

თურქული ლიტერატურის განვითარება მსოფლიო ლიტერატურული პროცესების გათვალისწინებით წარმოაჩენს თავად ლიტერატურის ხასიათს, რომელიც „სასაზღვრო ცნობიერებად“ შეიძლება შევაფასოთ. ისტორიული კონტექსტი, გეოპოლიტიკური და კულტურული არეალი დიდწილად განაპირობებს ეროვნული ლიტერატურის შემდგომი განვითარების კურსს. ისლამურმა კულტურამ და ცივილიზაციამ თურქული ლიტერატურის სქოლასტიკური ხასიათი განაპირობა. იგი გარკვეულწილად ეროვნულ საწყისებს მოწყვიტა და საერთო აღმოსავლური ლიტერატურის არეალში მოაქცია. კლასიკური თურქული ლიტერატურა საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. თუმცა გეოკულტურული არეალის ცვლილების შედეგად თურქულმა ლიტერატურამ სრულიად ახალი იდენტობა შეიძინა. ევროპული ლიტერატურის გავლენით დამკვიდრდა ახალი ჟანრები და ლიტერატურული მიმდინარეობები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქული ლიტერატურა საუკუნის დაგვიანებით ჩაერთო ევროპულ ლიტერატურულ პროცესებში. ახალ ცივილიზაციურ ველში გადასვლა დივანის ლიტერატურის სრული უარყოფის ფონზე მიმდინარებს. ძველისა და ახლის კონფლიქტის საფუძველზე თურქულ ლიტერატურაში ორმაგმა დისკურსმა იჩინა თავი. ეს კი გახდა მთავარი ფაქტორი კრიზისისა, რომელიც დღემდე გრძელდება და თანამედროვე ავტორები დღესაც ამახვილებენ ამ საკითხზე ყურადღებას. აღნიშნული კრიზისი ისევდა ისევ საზოგადოების, შესაბამისად ლიტერატურის, ლიმიტალურ პოზიციაში ყოფნაზე მეტყველებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- რატიანი ი. (2018). ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რატიანი ი. (2016). აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ევროპული კლასიციზმი, განმანათლებლობა და ქართული მწერლობის განახლებული სტატუსი, ქართული ლიტერატურის ისტორია, საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში, (შუასაუკუნეებიდან პოსტსაბჭოთა ეპოქამდე) ნაწილი I, თბილისი: „საარი“.
- Dayanç M. (2012). Yeni Türk Edebiyatında Türler, Şiir, Yeni Türk Edebiyatına Giriş I. Anadolu Üniversitesi, Eskişehir.
- Karaalioglu S. K. (2005). Ziya Paşa, Hayatı ve Şiirleri, İstanbul.
- Naci M. (1998). Mektuplarım, Ankara, Kültür Bakanlığı Yayınları.
- Tanpınar A. H. (2012). On Dokuzuncu Asır Türk Edebiyatı Tarihi, İstanbul, Dergah Yayınları.
- Tanpınar A. H. (1997). Edebiyat Üzerine Makaleler, İstanbul, Dergah Yayınları.
- Yetiş K. (1996). Namik Kemal'in Türk Dili ve Edebiyatı Üzerine Görüşleri ve Yazıları. İstanbul.

### References:

- Dayanç, M. (2012). Genres in Modern Turkish Literature: Poetry. Introduction to Modern Turkish Literature I. Eskişehir: Anadolu University.
- Karaalioglu, S. K. (2005). Ziya Paşa, His Life and Poems. İstanbul.
- Naci, M. (1998). My Letters. Ankara: Ministry of Culture Publications.
- Rat'iani, I. (2018). Kartuli Lit'erat'ura da Msoplio Lit'eraturuli P'rotsesi. [Georgian Literature and the Global Literary Process ]. Tbilisi: University Press.
- Rat'iani, I. (2016). Aghmosavletsა da Dsavalets shoris. Evrop'uli K'lasitsizmi, Ganmanatlebloba da Kartuli Mts'erlobis Ganakhlebuli St'at'usi [Between the East and the West: European Classicism, Enlightenment, and the Renewed Status of Georgian Literature]. History of Georgian Literature Through the Prism of International Literary Processes (From the Middle Ages to the Post-Soviet Era, Part I. Tbilisi: Saari.
- Tanpınar, A. H. (2012). History of Nineteenth-Century Turkish Literature. İstanbul: Dergah Publications.
- Tanpınar, A. H. (1997). Essays on Literature. İstanbul: Dergah Publications.
- Yetiş, K. (1996). Namik Kemal's Views and Writings on Turkish Language and Literature. İstanbul.